

ხელშეკრულება ტელეკომუნიკაციური ქსელით მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი " ____ " _____ " 201 ____ წ.

ერთის მხრივ _____

(შემდგომში „აბონენტი“), მცხოვრები ქ. თბილისში (მისამართი და ბინის ზუსტი ადგილმდებარეობა) _____

ჩართულია _____

საპასპორტო მონაცემება (პირადი №; დაბ. თარიღი) _____

ტელეფონი _____ მობილური _____

დამატებითი ტელეფონი ან ელ. ფოსტა _____

და მეორეს მხრივ სამეცნიერო-ტექნიკური ასოციაცია „ინტეროპტიკა“-ს (ს/კ: 202893510)
წარმომადგენელი _____

(შემდგომში „შემსრულებელი“), წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ქ. თბილისში განთავსებულ „შემსრულებლის“ კუთვნილ ტელეკომუნიკაციურ ქსელში „აბონენტური წერტილის“ ჩართვა და ამავე ქსელით მისი მომსახურება;
- 1.2 „შემსრულებელი“ საკუთარი ტელეკომუნიკაციური ქსელით უზრუნველყოფს „აბონენტს“ ინტერნეტით მომსახურებით;
- 1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების „დანართში“ ასევე გათვალისწინებული იქნება „შემსრულებლის“ მიერ „აბონენტისადმი“ შეთავაზებული მომსახურების სახეები და მათი ღირებულება;
- 1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების სახეებმა ან სააბონენტო (და სხვა) გადასახადის ოდენობამ შეიძლება განიცადოს ცვლილებები. ამ შემთხვევაში „შემსრულებელი“ იტოვებს უფლებას „აბონენტის“ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ (შეტყობინება ამის შესახებ გაკეთებული უნდა იქნას ერთი თვით ადრე ტელექსელის, ინტერნეტის ან/და SMS-ის მეშვეობით) შეცვალოს ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის (ან დანართის) პირობები;
- 1.5 დანართი, რომელიც თან ერთვის მოცემულ ხელშეკრულებას და ხელმოწერილია მხარეების მიერ, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი

მხარეები თანხმდებიან წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა შემდეგ მნიშვნელობებზე:

- „აბონენტური წერტილი“ – ტელეკომუნიკაციური ქსელის განმანაწილებელთან (მოდემთან, ხაბთან, “სვიჩთან”) ცალკეული (დამოუკიდებელი) ქსელური ხაზით მიერთებული „აბონენტის“ კუთვნილი თითოეული კომპიუტერი;

- „აბონენტური კაბელი“ – ქსელური კაბელი, რომელიც გამოიყენება „აბონენტური წერტილის“ ჩართვისათვის;
- „აბონენტური წერტილის“ გაუქმება – მისი გამორთვა ავტომატურად - ბილინგის პროგრამის მეშვეობით ან/და ტელეკომუნიკაციური ქსელის სააბონენტო გამყოფიდან (განმანაწილებელიდან, მოდემიდან, ხაბიდან, “სვიჩიდან”);
- „შემსრულებლის“ კუთვნილი ტელეკომუნიკაციური ქსელი – მაგისტრალური კოაქსიალური ან/და ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი, მაგისტრალური, სააბონენტო გამყოფები და მათი ერთმანეთთან დაკავშირებისათვის აუცილებელი სუბმაგისტრალური კაბელები, სხვა პასიური და აქტიური კომპონენტები (მათ შორის მოდემები, ხაბები, “სვიჩები”);

3. ტელეკომუნიკაციური ქსელით მომსახურების პირობები

- 3.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, „შემსრულებელი“ თავის კუთვნილ ტელეკომუნიკაციურ ქსელში ჩართავს „აბონენტურ წერტილს“;
- 3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტური კაბელით“ სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს „აბონენტი“, აღნიშნული კაბელი წარმოადგენს მის საკუთრებას (თუ კაბელი მის მიერ არის შეძენილი) და ვალდებულია თავად დაიცვას იგი ყოველგვარი დაზიანებისაგან;
- 3.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა პრეტენზია, დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან, „აბონენტის“ მიერ „შემსრულებლისათვის“ წარდგენილი იქნება წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსრულებელი“ იტოვებს უფლებას მის მიერ მიწოდებული მომსახურება განიხილოს უნაკლოდ.

4. ანგარიშსწორება

- 4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით;
- 4.2 „აბონენტი“ საკომუნიკაციო ქსელში „აბონენტური წერტილის“ ჩართვისათვის „შემსრულებელს“ წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებისას, უხდის ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების საფასურს და სულ მცირე ერთი თვის სააბონენტო გადასახადს დანართში მითითებული ღირებულებების მიხედვით;
- 4.3 „აბონენტი“ ტელეკომუნიკაციური ქსელით მომსახურებისათვის „შემსრულებელს“ უხდის დანართით განსაზღვრულ სააბონენტო გადასახადს;
- 4.4 „აბონენტის“ მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა წარმოებს წინასწარ საანგარიშო თვის დადგომამდე 1 (სამუშაო) დღით ადრე მაინც;
- 4.5 „აბონენტის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახადის ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადახდის შემთხვევაში „შემსრულებლის“ მიერ გაცემული იქნება გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. აღნიშნული ქვითრის გარეშე „აბონენტის“ პრეტენზიები არ მიიღება.
- 4.6 3 (ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 45 დღისა) დღის განმავლობაში აბონენტური გადასახადის გადაუხდელობის გამო გათიშული „აბონენტი“ ვალდებულია ინტერნეტში ჩართვისათვის აბონენტურ გადასახადთან ერთად დამატებით გადაიხადოს ინტერნეტ პორტის დაკავებისათვის 5 (ხუთი) ლარი.
- 4.7 აბონენტური გადასახადის გადაუხდელობის გამო შეწყვეტილი მომსახურება და მოცემული ხელშეკრულების მოქმედება ავტომატურად აღდგენილად ითვლება ყოფილი აბონენტის მიერ 4.6 პუნქტის გათვალისწინებით აბონენტური გადასახადის გადახდისა და ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.

5 მხარეთა ვალდებულებები

- 5.1 „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას:
- წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით ჩართოს ტელეკომუნიკაციურ ქსელში „აბონენტური წერტილი“;
 - ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს აბონენტის ინტერნეტით მომსახურება;
 - „აბონენტის“ შეტყობინების საფუძველზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში აღმოფხვრას ტელეკომუნიკაციურ ქსელში არსებული დაზიანება (მაგრამ არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა);
 - SMS- ით, ტელეფონით ან/და საიტზე განთავსებით ერთი თვით ადრე შეატყობინოს აბონენტს ხელშეკრულების პირობების ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ.
- 5.2 „აბონენტი“ იღებს ვალდებულებას:
- წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის და ვადების დაცვით აწარმოოს ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“;
 - დროულად აცნობოს „შემსრულებელს“ ქსელის ფუნქციონირებაში რაიმე შეფერხების ან დაზიანების შესახებ;
 - ხელი შეუწყოს „შემსრულებლის“ მომსახურე პერსონალს დაზიანების აღმოჩენასა და პროფილაქტიკურ შემოწმებაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ კი „აბონენტური წერტილის“ გაუქმებაში, რისთვისაც უზრუნველყოს მათი შენობის სხვენზე, სახურავზე, ოთახებში ან სხვა ადგილებზე, სადაც განთავსებულია სატელეკომუნიკაციო ქსელის კომპონენტები, დაუბრკოლებელი გასვლა;
 - აანაზღაუროს ყველა ის ხარჯები, რომელიც საკუთარი ბრალითა და უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენა ტელეკომუნიკაციურ ქსელს;
 - არ ჩართოს „შემსრულებლის“ ტელეკომუნიკაციურ ქსელში დამატებითი კომპიუტერი "შემსრულებელთან" შეთანხმების გარეშე, არ გაუყოს ინტერნეტის სიგნალი მესამე პირს, არ განახორციელოს ტელეკომუნიკაციური ქსელის კომპონენტების თვითნებური გადაადგილება, გადაჭრა ან გაგრძელება;
 - არ გამოიყენოს ინტერნეტი მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით აკრძალული მიზნებისათვის.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა და უფლებები

- 6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ზიანის მიყენებული მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით (მათ შორის უწყვეტი მომსახურების 3 საათზე მეტი დროით შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც არ არის გამოწვეული აბონენტის არასწორი ქმედებით, შემსრულებელი ახდენს მომსახურების კომპენსაციას);
- 6.2 „აბონენტი“ პასუხისმგებელია:
- ყველა იმ ხარჯებზე, რომელიც „შემსრულებლის“ კუთვნილ ტელეკომუნიკაციურ ქსელში მესამე პირის უნებართვო ან დამატებითი „აბონენტური წერტილის“ თვითნებური ჩართვის შედეგია; ამ შემთხვევაში „აბონენტს“ „შემსრულებლის“ წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა ქსელში უნებართვოდ ჩართული ყოველი „აბონენტური წერტილის“ გადასახადის გადახდაზე;
 - „შემსრულებლის“ ტექნიკური სამსახურის საინჟინრო ჯგუფის არასაკმარის მიზეზით მოცდენაზე. ამ შემთხვევაში მან “შემსრულებლს” უნდა აუნაზღაუროს ტრანსპორტირების ხარჯი დანართის მიხედვით;
 - მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისივე მიზეზით მომხდარი დაზიანების გამო შეფერხდა მისთვის მომსახურების მიწოდება.
- 6.3 „შემსრულებელს“ უფლება აქვს:
- გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს „აბონენტის“ მომსახურება და გააუქმოს „აბონენტურ წერტილი“;

- 1) მოცემული ხელშეკრულების 4.2, 4.3, 4.4, 4.7 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში;
 - 2) „აბონენტის“ მიერ დამატებითი „აბონენტურ წერტილის“ თვითნებური ჩართვის შემთხვევაში;
 - განაახლოს „აბონენტის“ მომსახურება „აბონენტის“ მიერ თითოეულ „აბონენტურ წერტილზე“ მოცემული ხელშეკრულების პ.პ. 4.2., 4.3., 4.4., 4.7-ში მითითებული თანხის გადახდისა და დავალიანების დაფარვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის თვითნებური მიერთების შედეგად წარმოქმნილის);
- 6.4 „შემსრულებელი“ არ იღებს პასუხისმგებლობას:
- ტელეკომუნიკაციით მომსახურებაზე ტელეკომუნიკაციური ქსელის ენერგომომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში;
 - „აბონენტურ წერტილზე“ დამატებით თვითნებურად მიერთებული ტერმინალის (კომპიუტერის) მომსახურებაზე.

7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

- 7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის/საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის/ დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში;
- 7.2 ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია ორთავე მხარის შეთანხმებით;
- 7.3 მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულებიდან გასვლას ვალდებულია წერილობით ერთი თვით ადრე აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ;
- 7.4 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა მართებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მხარე სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ქონებრივ ზიანს აყენებს მეორე მხარეს;
- 7.5 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია „აბონენტის“ მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ერთპიროვნულად შეწყვიტოს ხელშეკრულება, და მოახდინოს „აბონენტური წერტილის“ გაუქმება. მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტური წერტილის“ ჩართვისათვის გადახდილი თანხა „აბონენტს“ არ დაუბრუნდება. „შემსრულებელი“ უფლებას იტოვებს მოცემული პუნქტის საფუძველზე არ გაითვალისწინოს პ. 4.6. და პ. 4.7-ის პირობები.
- 7.6 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთმა მხარემ წერილობით არ აცნობა მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, იგი ავტომატურად გრძელდება შემდგომი ერთი წლის ვადით.

8 დამატებითი პირობები

- 8.1 „აბონენტის“ მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მისივე მოთხოვნით ტელეკომუნიკაციური ქსელით მომსახურების განახლება ხორციელდება ხელშეკრულების ახლად გაფორმებით და მისი ყველა პუნქტის შესრულებით;
- 8.2 „შემსრულებელი“ „აბონენტურ წერტილის“ ტელეკომუნიკაციურ ქსელში ჩართვის სამუშაოებს აწარმოებს „აბონენტის“ თხოვნით, მისი ინტერესების შესაბამისად, ტექნიკური მოთხოვნების დაცვით, არ არის პასუხისმგებელი შენობის, სახურავის ტექნიკურ მდგომარეობაზე და არ იღებს არავითარ ვალდებულებას მის შეკეთებაზე;
- 8.3 ყოფილი „აბონენტის“ მიერ „შემსრულებლისათვის“ „აბონენტური წერტილის“ გაუქმებაში სხვადასხვა გზით და მიზეზით ხელის შეშლის შემთხვევაში „შემსრულებელი“ უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების მიზნით ყოფილი „აბონენტის“ მიერ ჯარიმის გადახდის თაობაზე, რომელიც სულ მცირე შეადგენს ათმაგ ყოველთვიურ აბონენტურ გადასახადს;

8.4 "აბონენტი" თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას და რისკს, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტით სარგებლობასთან, მათ შორის ინტერნეტით რაიმე საქონლის ან მომსახურების შეძენის შემთხვევაში მათ ხარისხზე, ფასზე და გამყიდველის კეთილსინდისიერებაზე.

9 ფორს-მაჟორი

- 9.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულების პირობების სრულად ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გამოწვეულია გადაულახავი წინააღმდეგობებით, მათ შორის საომარი მოქმედებებით, მიწისძვრით, წყალდიდობით, ხანძრით, ეპიდემიით და სხვა ისეთით, რაც უშუალოდ ახდენს გავლენას ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
- 9.2 გადაულახავ წინააღმდეგობად ითვლება ისეთი საგანგებო გარემოება, რომელიც შეიქმნა მხარეთა ნების გარეშე და რომლის ზემოქმედებასაც მათ არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ შექმნილ სიტუაციაში მათ მიიღეს და გაატარეს ყველა ღონისძიება, რისი გათვალისწინებაც კი შესაძლებელი იყო;
- 9.3 ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება წყდება, ან შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით;
- 9.4 მხარე, რომელიც აღმოჩნდება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

10 ზოგადი დებულებანი

- 10.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირ(ებ)ს;
- 10.2 ზემოაღნიშნული პუნქტის დებულებები არ მოქმედებს თუ ერთ-ერთი მხარის უფლებები ან ვალდებულებები გასხვისებულია თავის კანონიერ მემკვიდრეზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მხარეთა სამართალმემკვიდრე პირზე;
- 10.3 ხელშეკრულებაში აბონენტის მიერ ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

„აბონენტის“ ხელმოწერა

„შემსრულებლის“ წარმომადგენლები:

მ. ჯაფიაშვილი

ბ. ქოჩიაშვილი

დ. ტორუა

თბილისი, ლეონიძის 11ა, („საქართველოს თეატრალური საზოგადოების შენობა“),
ტელ.: 2 999-034

დანართი

ინტერნეტით მომსახურების ტარიფები

მოცემული დანართი არის „შემსრულებელს“ და „აბონენტს“ შორის 201 - წლის " " " დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. ხელშეკრულების 1.3 და 1.4 პუნქტების შესაბამისად მხარეები თანხმდებიან „შემსრულებლის“ მიერ შეთავაზებულ მომსახურების ქვემოთ ჩამოთვლილ სახეებზე და მათ ღირებულებაზე:

ინტერნეტით მომსახურების პარამეტრები, ნუსხა და ტარიფები :

სიჩქარე (ლოკალური + გლობალური)	6 მბ/წმ-მდე
ჩართული კომპიუტერების რაოდენობა	1
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	30 GEL

სიჩქარე (ლოკალური + გლობალური)	10 მბ/წმ-მდე
ჩართული კომპიუტერების რაოდენობა	1 + 1
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	45 GEL

სიჩქარე (ლოკალური + გლობალური)	14 მბ/წმ-მდე
ჩართული კომპიუტერების რაოდენობა	1 + 2
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	60 GEL

სიჩქარე (ლოკალური + გლობალური)	17 მბ/წმ-მდე
ჩართული კომპიუტერების რაოდენობა	შეუზღუდავი
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	85 GEL

სიჩქარე (ლოკალური + გლობალური)	20 მბ/წმ-მდე
ჩართული კომპიუტერების რაოდენობა	შეუზღუდავი
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	110 GEL

- შენიშვნა: - ჩართვის თანხა შეადგენს 15 ლარს;
 - ინჟინრის გამოძახების ღირებულება შეადგენს 10 ლარს;
 - Wi-Fi როუტერის კონფიგურაციის ღირებულება შეადგენს 15 ლარს;

„აბონენტი“

„შემსრულებლი“

შპს „სამეცნიერო ტექნიკური ასოციაცია
 ინტეროპტიკა“ (სტა „ინტეროპტიკა“)
 ს/კ: 202893510
 საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი:
 ბ/კ: BAGAGE22;
 ა/ა: GE53BG0000000119518600 GEL

" " "201 ǿ.

" " "201 ǿ.